# ივერია

გაზეთი ღირს

| თუვე | მან. კ. | თუვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 1 სექტემ.**


**დიმიტრი ანდრიას ძე დეკანოზიშვილი, სოფიო ივანეს ასული დეკანოზიშვილისა** და მათი **შვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველნი ასულისას, ხოლო მეორენი დისას, **ოლიმპიადა დიმიტრის ასულის დეკანოზიშვილისას**, სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის პანაშვიდზედ ავლაბრის წმ. დარიის მონასტერში შაბათს, ამ თთვის 29, დილის 9½ საათზედ. პანაშვიდის გარდახდის შემდეგ მიცვალებულს დასასაფლავებლად გაასვენებენ რკინის გზით სოფ. რუისში. 1—1

## სასწავლებელი და პანსიონი

## ჟორჟიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თთვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც ავგისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში). (20—103—13)


ყოველ დღე მიიღება „ივერიის" რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

მაჰმადიანთა დროებითს სახოლერო ფარდულში 27 ავგისტოს დილით იყო 3 ავადმყოფი; გარდაიცვალა ჯაფარ-მამედ-ოღლი, მორჩა მანაფ-აზრა-ყული-ოღლი. 28 ავგისტოსთვის დარჩა 1 ავადმყოფი.

27 ავგისტოს მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს საეჭვო ნიშნებით ავადმყოფი ვასილი კონოვალოვი, 70 წლისა (9 ნაწ., ავჭალის ქუჩა, სახლი ამირბეგოვისა).

ტფილისის მაზრის უფროსი იუწყება: სოფ. ბორბალოში ავად გახდა 1; საგარეჯოში გარდ. 2; სოფ. ბერთუბანში მორჩა 3; სოფ. მუღანლოში გარდ. 2.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება: 24 ავგისტოს სოფლებში ავად დახდა 42, მორჩა 2, გარდ. 15, დარჩა 92. 25 ავგისტოს სოფლებში ავად დახდა 28, გარდ. 17, მორჩა 12, დარჩა 91; ქალაქში ავად გახდა 1, გარდ. 1. 26 ავგისტოს სოფლებში ავად დახდა 28, გარდ. 15, მორჩა 20, დარჩა 84 ავადმყოფი; ქალაქში ავად გახდა 3, გარდ. 1, დარჩა 2.

ახალციხის მაზრის უფროსი იუწყება: 23 ავგისტოს ქ. ახალციხეში იყო 32 ავადმყოფი, ავად გახდა 14, გარდ. 7, დარჩა 39 ავადმყოფი; ტამანის მე-150 რაზმში ავად გახდა 9, გარდაიც. 3, დარჩა 36. 24 ავგისტოს ქ. ახალციხეში იყო 39 ავადმყოფი, ავად გახდა 23, გარდაიც. 5, მორჩა 5, დარჩა 52. ტამანის რაზმში იყო 36, ავად გახდა 4, გარდ. 1, დარჩა 39.

სიღნაღის მაზრის ექიმი იუწყება: იმ ოთხ ავადმყოფ შორის, რომლებიც ზემო-მაჩხაანის კალოებზედ იყვნენ, 1 გარდაიცვალა.

---

ტფილისი, 28 ავგისტო

ევროპის სახელმწიფოებს სულს უხუთავს გადამეტებული სამხედრო ხარჯი და ვერ იქმნა, ევროპამ ვერ დააღწია თავი ამ უსარგებლო და ერის კეთილდღეობის დამღუპველს ხარჯს. წელიწადი ისე არ გავა, რომ ევროპის რომელსამე კუთხეში, მის რომელსამე ქალაქში კრება არ მოხდეს სწავლულთა და სახელმწიფო კაცთა იმის გამოსარკვევად, ეგებ როგორმე ავიცილოთ თავიდგან მილიტარიზმი, შემოვიღოთ რაიმე ისეთი წესი, რომ საერთაშორისო დავიდარაბა, იარაღით-კი, არა, მშვიდობით გავათაოთო, მაგრამ მშვიდობიანობის აზრმა ჯერ ვერ დათრგუნა შეთოფ-იარაღების სურვილი. წელსაც იყო ასეთი კრება შვეიცარიის ქალაქ ბერნში. კრებას დაესწრნენ თითქმის მთელის ევროპის წარმომადგენელნი, სწავლულნი, დეპუტატნი და დაადგინეს, ვუმატოთ მხნეობას და ეგებ როგორმე დავარწმუნოთ მთავრობანი, რომ ომი დამღუპველია ქვეყნისა და არა მხსნელიო.

ვიდრე ეს კაცთ-მოყვარე და ბრწყინვალე აზრი გზას გაიკვლევდეს, გადავათვალიეროთ ევროპის სახელმწიფოთა ხარჯთა - აღრიცხვა ჯარის საჭიროებისათვის და მაშინ დღესავით ნათელი იქნება, თუ რა ფუჭად იხარჯება ხალხის ოფლითა და ვაი-ვაგლახით მონაგარი ფული.

მშვიდობიანობის დროს საფრანგეთსა ჰყავს 508,686 ჯარის-კაცი, ომის დროს ეყოლება 3.828,000, ესე იგი ერთი მეხუთედი მკვიდრია მამობრივის სქესისა. ქუდზედ კაცის გაყვანას რომ იტყვიან, აი სწორედ ეს არის, რადგან მოხუცნი და ბავშვები ხომ ვერ წავლენ საომრად. ამ აუარებელის ჯარის შესანახად საფრანგეთი წელიწადში ჰხარჯავს 864.150,757 ფრანკს და ვინ იცის, რამდენი დაეხარჯება ომის დროს.

გერმანიასა ჰყავს მშვიდობიანობის დროს 486,983 ჯარის-კაცი და 20,000 აფიცერი, ომის დროს ეყოლება ოთხ მილიონზედ მეტი კაცი. წელიწადში მათ გამოსაკვებად გერმანია ჰხარჯავს 721.125,000 ფრანკს.

ავსტრიასა ჰყავს მშვიდობიანობის დროს 337,419 ჯარის-კაცი და აფიცერი, ომის დროს ეყოლება ორ მილიონამდე კაცი. წელიწადში ჰხარჯავს 384.823,420 ფრანკს. იტალიასა ჰყავს მშვიდობიანობის დროს 276,013 ჯარის-კაცი, ომის დროს ეყოლება 2.844,339 მეომარი. წელიწადში ჰხარჯავს 362.000,000 ფრანკსა. რუსეთსა ჰყავს მშვიდობიანობის დროს 818,000 მეომარი, ომის დროს ეყოლება არა ნაკლებ ხუთის მილიონისა. წელიწადში რუსეთი ჰხარჯავს 906.608,672 ფრანკს. ყველაზედ მცირე ჯარი ინგლისსა ჰყავს, სულ 226,192 კაცი, ომის დროს ეყოლება არა უმეტეს 724,000 მეომარისა. მაგრამ ამ მცირედის ჯარის შესანახად ინგლისი ჰხარჯავს 789.640,000 ფრანკს.

ამ ციფირებს, ვგონებთ, მომეტებული განმარტება აღარ ეჭირვება. ცხადად სჩანს, სად მიდის და რაზედ იხარჯება აუარებელი სიმდიდრე ევროპიელებისა. მარტო საფრანგეთი რომ ავიღოთ, მკითხველის განცვიფრებას საზღვარი არ ექმნება. ყველაზედ მეტს ეს სახელმწიფო ჰხარჯავს *). ამ უკანასკნელის ოცის წლის განმავლობაში საფრანგეთმა ორი მშვენიერი პროვინცია დაჰკარგა, დიდი შინაური ამბოხება გამოიარა, ხუთი მილიარდი კონტრიბუცია გადაიხადა და აუარებელი ფული დახჰხარჯა, რომ თავისი სამხედრო ძალა აღედგინა. სწორედ საკვირველია ამ ნიჭიერის ხალხის ენერგია და სიმდიდრე. გონების თვალით კაცი ვერც-კი წარმოიდგენს, რა იქნებოდა, საფრანგეთი ომს რომ არ მოელოდდეს და თავის სიმდიდრეს თოფ-იარაღის შეძენისათვის არა ჰხარჯავდეს!

მაგრამ რას იზამ, საფრანგეთმა ვერ დაივიწყა თავისი ისტორიული სირცხვილი; ვერ დაუვიწყნია, ელზას-ლორენის დაკარგვა.

*) საფრანგეთში ითვლება 38.343.192 სული და გერმანიაში—49.426,384.

---

# ფელეტონი

### დლიურის ვარმის შესახებ *)

მაგრამ გახდა ავად ხოლერით ადამიანი. რითი დ როგორ უნდა ვუშველოთ? ხოლერა იმითია საშიში და მამაკვდინებელი, რომ სითბოსართმევს კუჭსა, ნაწლავებსა, სისხლსა, მთელს სხეულსა კრუნჩხავს, აცივებს და ყინულივითა ხდის. გალელეჩებული კუჭი ველარ აკეთებს თავისს სიმჟავესა ხოლერის ჭიის მოსაშხამავად, გაყინული სისხლის თეთრი სიმრგვალეები (бѣлые шарики) ეს ნამდვილი ჯარი სისხლისა, მეტად სუსტდებიან და ველარ ებრძვიან ამ შეუბრალებელს ჭიასა და ამის გამო სენი დაუბრკოლებლივ ძლიერდება და ავადმყოფს ჰკლავს. მაშასადამე, უპირველესად ყოვლისა ტანშისითბოს დატრიალებას უნდა ვცდილობდეთ. შიგნით უნდა ვახმაროთ მხურვალე, სითბოს გამაძლიერებელი რამეები; კაპლები პიტნისა, ბოტკინისა, ინოზემცევისა, რომი, მაგარი არაყი, ცხელი ყავა, ჩაი კარგი ღვინით და სხვანი. გარედგან ავადმყოფი სულ დიდს სითბოში უნდა ვამყოფოთ და ვეცადოთ ოფლი მოვადინოთ. ფეხზედ მივადგათ ძალზედ გახურებული აგურები, ბოთლები მდუღარე წყლითა, ცხელი სამოვარი და სხვა. საბანს ქვეშ უნდა შევუდგათ აქეთ-იქით ქვაბები; მდუღარე წყლით სავსე და მგზავსი ამისთანა... თუ სითბო დავიტრიალეთ სხეულში და ოფლი დროზედ მოვგვარეთ ავადმყოფს, უთუოდ გადარჩება. ეს ოფლი იმისი მომასწავებელია, რომ ადამიანის კუჭმა, სისხლმა და მთელმა სხეულმა ხელი დაჰრია ხოლერის ჭიასა და ამარცხებს.

როგორ მოქმედობს ხოლერიანზედ რძე, მაწონი და დო? რძე თურმე ხელს უწყობს ხოლერასა და არამც თუ უმი, ადუღებულიცა. რაც შეეხება დოსა და მაწონსა, ერთი მხრით ესენი მარგებელნა არიან, რადგანაც ბლომად შეიცავენ რძის სიმჟავესა, რომელიც ვნებს თურმე ხოლერის ჭიასა, მაგრამ მეორე მხრით მავნებელნი არიან, რადგანაც ძლიერ აგრილებენ ადამიანის გვამსა და ამ მხრივ შველიან ხოლერის გაძლიერებასა. შეიძლება სარგებლობა ერთი ათად სჭარბობდეს მავნებლობასა და დომაწონი სარჩევი სასმელი იყოს, მაგრამ ამისი სწორედ ჩვენ არაფერი ვიცით და ექიმებისათვის მიგვინდვია...

ერთი გარემოება მეტად აძნელებს ბრძოლას ხოლერასთან: ეს არის საშინელი პირღებინება, რომელიც წამლის და სასარგებლო სასმელის მოქმედებას აუქმებს, აქარწყლებს. რა ღონისძიებით უნდა ებრძოლოს ხალხი პირღებინებას? ექიმები ყინულს ურჩევენ, მაგრამ ეს რჩევა გამოსაყენებელია ქალაქებში და ყოვლად უსარგებლოა სოფლებისათვის, სადაც ყინული არ მოიპოვება. ჩვენ არ ვიცით, რა შინაურს ღონისძიებას შეუძლიან ჰქმნას მაგივრობა ყინულისა პირღებინების შესაყენებლად, და რომელი ექიმიც ამისთანა ღონისძიებას უჩვენებს სოფელსა, დიდ მადლსა იქმს.

ჩვენ უნდა ვეცადნეთ არა მარტო იმისათვის, რომ ხოლერიანი მოვარჩინოთ; არამედ იმისათვისაც, რომ არავის გადაედოს ეს სენი. ხოლერის ჭია ძლიერ ბევრია ნარწყევსა და განავალში, აგრეთვე ავადმყოფების ლოგინში და ტანისამოსში. ნარწყევისა და განავალის ჭიების გასაჟლეტად ქალაქებში ხმარობენ კარბოლკასა,—სოფლად ეს ღონისძიება არ იშოვება. მის მაგივრობა და სრული მაგივრობაც შეუძლიან ჰქმნას გაძლიერებულმა ცეცხლმა, რომელშიაც უნდა დასწვან განავალიც და ნარწყევიც. ცეცხლშივე უნდა დაიწვას ყოველ გვარი სამოსელი ავადმყოფისა, ან, თუ ამას ვერ იზამენ სიღარიბის გამო, უნდა მდუღარე წყალში ხარშონ დიდხანსა, თუმცა მდუღარე წყალი ბევრით ჩამორჩება ძირსა ცეცხლსა...

აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ორი გარემოება. პირველი გარემოება მდგომარეობს იმაში, რომ ხოლერის დროს სხვა მხრივ სალიანობა არსებობს და ჩვეულებრივი სატკივარნი ძლიერ ნაკლებად აწუხებენ ხალხსა. აიხსნება ეს მოვლენა იმითი, რომ ხოლერის ჭია უთუოდ სჩაგრავს, ასუსტებს და ჟლეტავს სხვა ავადმყოფობის ჭიებსა, რომ ბურთი და მოედანი მარტო თვითონ დარჩეს.

მეორე გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ არიან იმისთანა ადამიანები, რომელთაც ხოლერა არ ეკარება, თუნდა სულ მუდამ ხოლერიანებში იტრიალონ. რაში მდგომარეობს ის განსაკუთრებული თვისება აგებულობისა, კუჭის სისაღის

*) დასასრული. იხ. „ივერია", № 182.

ამ დღეებში კიდევ იჩინა თავი ამ ფრანგთა გულში ჩამარხულმა ტკივილმა. 18 ივლისს დიდის ამბით იდღესასწაულეს ასის წლის შეერთება საფრანგეთთან სავოიისა. მეჯლისს დაესწრო სამი ათას კაცზედ მეტი. იქ იყვნენ დეპუტატნი, მეცნიერნი, თვით სავოიელები, მთავრობის წარმომადგენელნი და სხვ. სავოია თავის სურვილითვე შეუერთდა საფრანგეთს 1702 წელს, შემდეგ სავოია ძალით მოჰგლიჯეს (ვენის ხელშეკრულობის ძალით, 1815 წ.) და ხელ-ახლად შეუერთდა საფრანგეთს 1859 წ. იტალიის განთავისუფლების ომის დროს.

„ომებს და პოლიტიკურს ანგარიშსაო, ასე დაამთავრა პალატის თავმჯდომარემ ფლოკემ წვეულებაზედ სიტყვა: შეუძლიან გაჰყოს დ გაანაწილოს ის მიწა-წყალი, რომელიც შეკოწიწებულა ძალით, ან შემთხვევით. მაგრამ ის ჯგუფი, კრებული ხალხისა, რომელიც შემდგარია თავის ნებით, თავისუფალის გონების ჩვენებით, დიდხანს უცხოვრია ერთად სიყვარულითა და სიმართლით, აქვს ერთი და იგივე წარსული და დაუთრგუნველი იმედი მომავალში, ასეთი კრებული არის ნამდვილი და ჭეშმარიტი ეროვნება. ამ გვარად შეწებებულს დ შეხორცებულს კრებულს ვერ დაარღვევს, ვერ დაშლის შურიანი დიპლომატია. ასეთის შურიანის დიპლომატიისათვის, მიჰმართა ფლოკემ სავოილებს: თქვენ წარმოადგენთ ბედნიერს ცდას,—ისტორია იმათ სამაგიეროს მიუწყავს, მხოლოდ საჭიროა ცდა, მომზადება და, ამას გარდა, ღირსნიც უნდა ვიყვნეთ სამართლიანის ისტორიულის განაჩენისა“.

მკითხველი, რასაკვირველია, მიხვდებოდა, ვის გადაჰკრა ფლოკემ მათრახი. ფლოკემ ისა სთქვა, რაც გულში უღვივის ყოველს ფრანგს და რაც ამას წინად მეცნიერულად დაასაბუთა სახელოვანმა ერნესტ რენანმა. ამისათვის ფლოკეს სიტყვას ისეთის სიხარულითა და ალტაცებით მიეგებნენ მსმენელნი, რომ ტაშის ცემა დიდხანს არ შეწყვეტილა.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

⁂ საფრანგეთის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრს ალფონს პინარტს, რომელსაც განუზრახავს შეჰკრიბოს დაწვრილებითი ცნობანი შესახებ წიგნების ბეჭდვის ისტორიისა მთელს ხმელეთზედ, ჰსურს ჩაურთოს თავის მამავალ შრომას აგრეთვე ცნობანი ქართულის წიგნების ბეჭდვის ისტორიის შესახებ. ამისათვის ბ-ნი პინარტი სთხოვს ჩვენს რედაქციას გაუგზავნოს პასუხი შემდეგ ორს საკითხზედ:

1) რომელ წელსა, ან ვის შემოულია ჩვენში წიგნების ბეჭდვის საქმე?

2) სახელები უმთავრეს თხზულებათა, რომელნიც წიგნად იბეჭდებოდა, ბროშიურად, განცხადებად, თუ ჟურნალად, მათი სათაურები ქართულად და აგრეთვე ფორმატი წიგნისა და რაოდენობა კაბადონისა.

ამასთანავე ბ-ნი პინარტი იწერება, რომ შეიძლება წიგნის სახელები ქართულადაც იყოს ამოწერილი, რადგან ქართული სცოდნიათ და ქართულიდგან თარგმნა სრულებითაც არ გაუძნელდებათ.

⁂ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უკვე მოსვლია პეტერბურგიდგან განსვენებულ პროფესორის ი. ი. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა. სულ ოთხი დიდი ხის ყუთია.

⁂ ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 24 აგვისტოს ბაქოში მორჩა 1, არავინ ავად არ გამხდარა და არც გარდაცვლილა. ავად არის 3, სამხედრო სამკურნალოში ავად არის 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 22, გარ. 13, ავად არის 17.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 24 აგვისტოს განჯაში ავად არავინ არის; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 27, მორჩა 23, გარ. 19, ავად არის 71.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 24 აგვისტოს ქუთაისში მორჩა 1, ავად არავინ არის; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 5, გარდ. 2, მორჩა 6, ავად არის 29.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 24 აგვისტოს შურაში არც უმატნია ავადმყოფობას და არც უკლია: მთელს ოლქში ავად გახდა 83, გარდ. 57, მორჩა 156, ავად არის შურაში 4, მთელს ოლქში 653.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: 22 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 8, ავად არის 45; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 135, გარდ. 75, მორჩა 88, ავად არის 693.

ყარსის გუბერნატორი იუწყება: ყარსში ავად გახდა 16, მორჩა 13, გარდ. 4, ავად არის 97; მთელს ოლქში ავად გახდა 52, მორჩა 17, გარდ. 7, ავად არის 84.

სტავროპოლის გუბერნატორი იუწყება: სტავროპოლში ავად გახდა 10, გარდ. 2, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 149, გარდ. 65, მორჩა 115.

ზაქათალის ოლქის უფროსი იუწყება: მთელს ოლქში ავად გახდა 4, მორჩა 14, გარდ. 3, ავად არის 40.

⁂ ამას წინად გამოცხადებული გვქონდა, რომ ბაქოელ ქართველებისაგან შირაქში ცეცხლით დაზარალებულთა *) სასარგებლოდ მივიღეთ ხუთი თუმანიო. ახლა კიდევ მოგვივიდა იმათგანვე რვა თუმანი, შესდგა სულ ცამეტი თუმანი. აქავე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიას:

მღვდელი გაბარაშვილი 5 მან., ამაშუკელი ესტატე 3 მან., დ. ი. 3 მ., ჩუბინაშვილი ილია 5 მან., ოცხელი ან. 2 მან., გელოვანი ას. 1 მან., ნაკაშიძე ი. 2 მან., თურქია მიხეილ 2 მან., გრიგორიევი თ. 2 მან., დოვლათოვი 1 მან., ლოლიაშვილი ალექსანდრე 1 მან., გრიქუროვი კონსტანტინე 1 მან., ჩუბინაშვილი გრ. 1 მან., წულუკიძე ი. 1 მან., ცაგარელი ნ. 3 მან., კახიანი გ. 1 მან., ღოღობერიძე დ. 3 მან., ჩაგანავა 2 მ., ალექსი-მესხიშვილი ს. 3 მან., ჟურული 2 მან., ჯაყელი ი. 5 მან., გვარამაძე პ. 5 მან., შაბუროვი რაჟდენ 5 მან., ბ. ს. 1 მან., გიორგობიანი 3 მან., დათაძე 1 მან., დეკანოზიშვილი თეოქთისტე 1 მან., ტაბიძე კ. 3 მან., ელბაქიძე დ. გ. 3 მ., ოქროპირიძე იოსებ 1 მან., ბოსტოვანოვი აბრამ 2 მან., ელიოზიშვილი იოსებ 1 მან., გუგუშვილი სპირიდონ 1 მან., ქუთათელაძე გაიოზ 1 მ., პლატონ ჯაყელი 2 მან., წერეთელი პ. 1 მან.

⁂ ტფილისის მე-3 ნაწილის მომრიგებელმა-მოსამართლემ, ბ-ნმა ი. წინამძღვრიშვილმა ბევრი სიკეთე დასდო ჩვენს ტფილისს. საკუთარ მხნეობას გარდა, მისის წინადადებით ტფილისში დაარსდა კარ-ეზოს მეთვალყურეთა რაზმი. ეხლა 8, 9 და მე-10 პოლიციის ნაწილებში თითქმის ყველა ეზო-კარს მეთვალყურე ჰყავს და ისინი ადევნებენ თვალყურს სისუფთავეს, პასუხის-მგებელნი ისინი არიან, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხოლერიანობის დროს. მისისავე წინადადებით ეხლა ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ტფილისში არხები გაიყვანონ. ბ-ნ წინამძღვრიშვილს, როგორც შევიტყეთ, ნიკოლოოზისა, ავჭალისა და მიხეილის ქუჩებზედ გაშენებულ სახლის პატრონებისთვის უკვე ხელ-წერილები ჩამოუთმევია იმის შესახებ, რომ თანახმანი ვართ ჩვენის ხარჯით არხები გავიყვანოთო. ახლა უკვე მოწვეულია ინჟენერი იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი დაჯდება არხების გაყვანა ზემოხსენებულს ქუჩებზედ, რომ ეს ხარჯი ამ ქუჩაზედ გაშენებულ სახლის პატრონებს გაუნაწილდეთ და გადაჰხდეთ. თუ ეს საქმე დამთავრდა, თითქმის ნახევარი ქალაქი არხებით იქნება მოფენილი და ტფილისი სისუფთავის მხრივ ერთი ათად განკარგდება და განუკეთესდება.

⁂ ის საჩაიესთან, რომელიც გამართულია ავჭალის ქუჩის მოედანზედ, ბ-ნ წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით, აგერ მეხუთე დღეა უკვე გამართულივეა სასადილო, რომელშიაც ღარიბ მკვიდრთ 3 კაპ. ეძლევათ ერთი ჯამი წვენი პურითურთ. სასადილოს ძალიან დიდ-ძალი ხალხი ეტანება, ასე რომ, თუ ქველმოქმედთა შემწეობა არ მიეშველა, ძნელად თუ დიდხანს გასძლოს ამ სასადილომ ასე იაფად სადილების მართვა ღარიბის ხალხისათვის. თითო სადილი, ორთა შუა რიცხვით, 5—6 კაპ. ჯდება და სასადილო დანარჩენს დანაკლისს თითონ უძლვება შემოწირულებათა წყალობით. როგორც შევიტყეთ, მისს დამაარსებელს ბ-ნს ი. ი. წინამძღვრიშვილსავე განუზრახავს ხელის-მოწერა გაჰმართოს და თანხა შეადგინოს ერთის სამუდამო სასადილოს გასამართავად. ამ თანხისათვის ზოგიერთნი ტფილისის შეძლებულნი უკვე დაჰპირებიან დახმარებას. ჩვენის აზრით, სასადილომ 5—6 კაპ. რომ გადაახდევინოს ტფილისის ღარიბ მკვიდრთ, რაკი სამუდამო დაწესებულებად გადაქცევას აპირებს, ყველა სიამოვნებით ამოიკვეთს ფეხს მეხაშეებთან სიარულისაგან, სადაც ნაწკუმპლსა და უსუფთაოდ მოხარშულს დურდოში ერთიორად და ერთი-სამად მეტს ახდევინებენ.

⁂ ავჭალის მოედნის საჩაიეშივე, როგორც შევიტყეთ, ექიმი რაზამატი ამ ახლო ხანში დაიწყებს კითხვას ადვილად გასაგების ლექციებისას ჰიგიენისა და ხოლერისაგან გაფრთხილების შესახებ.

⁂ სომეხთა კათოლიკოსის მოადგილეს ბრძანებით, სწავლა სომეხთა სასულიერო სამრევლო სასწავლებლებში დაიწყება 16 სექტემბრიდგან.

⁂ „Моск. Ил. Газ.“-ი იუწყება, რომ კავკასიის სააბრეშუმო სადგური ამ ჟამად მოსკოვში სხვა-და-სხვა ჯიშის მტრედებსა ჰყიდულობს, განსაკუთრებით-კი წერილების მიმტანმომტანს, საფოსტოსაო. აქამდე ეს სადგური მხოლოდ აბრეშუმის ჭიის გაშენებას მისდევდა. წარსულის წლიდგან ხელი მიჰყო ფუტკრის გაშენებასაც. ეხლა-კი, როგორც ჰხედავთ, ქათმებისა და მტრედების გაშენებაც დაიწყო. საფოსტო მტრედების გაჯიბრებაც-კი იქნება გამართული. შემდეგში, თუ საქმე კარგად წავიდა, შეიძლება კავკასიაში განსაკუთრებული საფოსტო მტრედების სადგური გაიმართოს.

*) იხ. ამ ნომერშივე დაბეჭდილი, ქიზიყიდგან მოწერილი კორრესპონდენცია.

## მთავრობის განკარგულებანი

სამსახურის წელთა შესრულების გამო უფროსობით ებოძათ: სტატსკი სოვეტნიკობა: კოლეჟსკი სოვეტნიკებს მაზრათა მომრიგებელს შუამავლებს: ქუთაისისას—ქაიხოსრო ლორთქიფანიძეს, რაჭისას — ალექსანდრე ჯაყელს, სენაკისას—თ. ალექსანდრე მიქელაძეს, ლეჩხუმისას—დიმიტრი ბაქრაძეს; კოლეჟსკი სოვეტნიკობა: ნადვორნი სოვეტნიკებს ზუგდიდის მაზრის მომრიგებელ-შუამავალს ივანე მაჭავარიანს, ქუთაისისას—თ. მერაბ ლორთქიფანიძეს, ნუხის მაზრის უფროსს დიმიტრი ასანიძეს; ნადვორნი სოვეტნიკობა: კოლეჟსკი ასესორს ყაზახის მაზრის უფროს იოსებ ყანჩელს; კოლეჟსკი ასესორობა: ტიტულიარნი სოვეტნიკს, ჯებრილის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს, თ. ივანე ანდრონიკაშვილს,

---

გარდა, რომელიც ადამიანს ხოლერისაგან იფარავს სრულიად, ჯერედ გამოკვლეული არ არის, და უბედურობაც ამაშია. რომ გამოკვლეული იყოს, ამისთანა აგებულების ადამიანები უშიშარნი მეომარნი იქმნებოდნენ ხოლერის წინაალმდეგ და შეუდარებელნი მომვლელნი ამ გადამდები სენით შეპყრობილთა.

მგზავსადვე ამისა არიან იმისთანა ადგილები, რომელთაც ხოლერა ერიდება, არ ეკარება, გზას უქცევს და თუ ვინმე ხოლერიანი ადგილიდგან მივიდა ავადმყოფი ამისთანა ადგილასა, ან ადვილად რჩება, და თუ კვდება, მისგან ხოლერა არავის შეხვდება, არავის გადაედება. ეტყობა, რომ ამისთანა ადგილებში ხოლერის ჭია ვერა სცოცხლობს, უძლურდება, იჟლიტება. რა თვისება ჰავისა და მიწა-წყლისა იცავს ამ ადგილებს ხოლერისაგან, კიდევ, საუბედუროდ, გამოკვლეული არ არის. ნამდვილია მხოლოდ, რომ ამ გვარი ადგილები არსებობენ. საფრანგეთში, მაგალითად, არის ერთი დიდი ქალაქი, სახელად ლიონი, რომელსაც არას დროს ხოლერა არა სწვევია, თუმცა გარშემო ხშირად უმძვინვარია. ამ გვარივე ქალაქი არის რუსეთში, სახელდობრ პეტერგოფი, პეტერბურღს ახლო, ოცის ვერსის მანძილზედა.

ჩვენდა სასიხარულოდ, ამ გვარი ადგილი, დაცული ხოლერისაგან, საქართველოშიაც ჩნდება. მანგლისს, საიდგანაც ამ წერილს ვიწერები, თურმე თავის დღეში არ უნახავს ხოლერა. დიდ-ხოლერობის დროსა 1830 წელსა ნახევარ-თბილისი მანგლისში და მის გარშემო ყოფილა გამოხიზნული და ხოლერა აქ აინც არ გაჩენილა. ამას ამოწმებენმ ოთხმოცი და ოთხმოც-და-ათის წლის მოხუცნი ქართველნი და რუსნი. დიდი ხოლერობის შემდეგ საქართველოს თუნდა ოთხჯერ კიდევ გამოუცდია პატარა ხოლერობა და აქ თურმე ერთი მცხოვრებიც არ გამხდარა ავადა არც ერთხელ. წლევანდელი წელიც მტკიცედ ემოწმება ამ ამბავსა. წლეულ მანგლისი თითქმის სავსეა მოაგარაკეებითა, რომელნიც მოსულნი არიან ხოლერიანი ადგილებიდგან: ბაქოდგან და ტფილისიდგან. გარდა ამისა მცხოვრებლები ყოველ დღე დაიარებიან თბილისში. მოაგარაკეებს ხშირად მოსდით ნათესაობა სანახავად თბილისიდგან. ამავე ქალაქიდგან მოაქვთ აქ ყოველ გვარი სურსათი და სავაჭრო. ჯარიც მიდის თბილისსა და მოდის უკანვე. ერთი სიტყვით, ყოველი გარემოება ხელს უწყობდა და უწყობს ხოლერის გაჩენასა და გაძლიერებასა მანგლისში, მაგრამ აქამდის ჰაჭანებაც არ არის აქ ხოლერისა. ხშირია მხოლოდ უბრალო ფაღარათობა, რომელიც ორი-სამი დღის უკან თვითონვე უწამლოდა ქრება. უეჭველია, ამ ფაღარათობას აჩენს ხოლერისავე ჭია, მაგრამ რადგანაც იგი აქ უძლურდება განსაკუთრებული მიწა-წყლის თვისების გამო, ამიტომ ჰბადავს მხოლოდ უძლურს ავადმყოფობას კუჭისასა და არა იმ საშინელს სენსა, რომელსაც ხოლერას ვეძახით.

კიდევ უფრო საყურადღებო ის არის, რომ არა მარტო მანგლისია მოშორებული ხოლერასა, არამედ თითქმის მთელი ესრედ წოდებული საბარათიანო კოჯრიდგან დაწყებული ახალციხის მაზრამდის........ მე მსურს ეს საგანი უფრო დაახლოვებით გამოვიკვლიო და, სხვათა შორის, მივმართო ერევნის პოლკის არხივსა, რომლის შტაბ-კვარტირა აქ არსებობს თითქმის ამ საუკუნის დასაწყისიდგანა. თუ ამ არხივმაც უმოწმა მანგლისის შეუხებლობას ხოლერის მხრივ, მაშინ მანგლისი ისეთსავე სახელს მოიხვეჭს, როგორც ლიონი და პეტერგოფი. შესაძლებელია და მოსალოდნელიც, რომ მთელი საბარათიანოც მანგლისისავით ხოლერის მიუკარებელი ადგილი აღმოჩნდეს. ამისათვის საჭიროა ვრცელი ცნობების შეკრება, რაიცა ადვილი შესაძლებელია ადგილობრივი ქართველი მემამულეთათვის. თუ მთელი საბარათიანო ლიონის თვისებისა აღმოჩნდა, ეს დიდი ღვთის წყალობა იქნება ტფილისისათვისაც და ქართლის გამოღმა მხრისათვისაც, რადგანაც ამ ადგილების მცხოვრებთ მთლად შეუძლიანთ თავი შეაფარონ ხოლერის დროსა ამ ფართო მაღლობ ადგილებზედა. ძლიერ კარგს იზამენ ჩვენი შეგნებულნი პირნი, თუ სხვა კუთხეების ვითარებასაც გამოიკვლევენ ამ მხრივ და აღმოაჩენენ იმისთანა ადგილებს, რომელთაც არც წრეულს და არც წინად ხოლერა არ შეხებია. ამისთანა ადგილები სწორედ ცხონება ჩვენის ხალხისათვის გაძლიერებულის ხოლერის ჟამსა.

ხოლო გაქცევას ბრძოლა სჯობიან; განათლებული ევროპა ხოლერას-კი არ გაექცევა ხოლმე, ებრძვის

მთავარ-მმართებელის კანცელარიის ბუხჰალტერის თანაშემწეს მიხეილ ჩანიაშვილს და გეოქჩაის მომრიგებელ-შუამავალს სოლომონ ხიმშიაშვილს.

სტატსკი სოვეტნიკობა ებოძა უფროსობით შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლს, მილიციის პრაპორშჩიკს, უგანათლებულესს თავადს ალექსანდრე ბაგრატიონს.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**ქიზიყი**, 3 აგვისტო. წრევანდელი წელიწადი არა სასიამოვნო წელიწადი იყო ქიზიყისათვის. არა მგონია ეს წელიწადი მოიგონოს-ღა როდისმე ქიზიყელმა კაცმა და თუ მოიგონებს როგორმე, მოიგონებს მხოლოდ ლანძღვა-გინებით. ჯერ იყო და კალიის ზეგარამ გაანადგურა ხალხი. მაშინ, როდესაც ჩვენი სამშობლოს სხვა კუთხის მკვიდრი მამულების შემუშავებას და გაზაფხულის ხვნა-თესვას უნდებოდა, ჩვენს ქიზიყს კალია ჰქონდა გამხდარი თავში საცემად და 75—100 ვერსზედ თავიანთ სახლკარს მოშორებულნი ქიზიყის მცხოვრებნი კრიჭაში ედგნენ ამ საზიზღარს მწერს და არ აძლევდნენ ნებას თავიანთის ჭირნახულის განადგურებისას. თუმცა გაზაფხულის ხვნა-თესვა სიმინდისა და ფეტვისა ველარ მოასწრეს, ვენახებიც შეუმუშავებელი დარჩათ, მაგრამ მაინც ამ ჭირნახულის მტერს—კალიას თავიანთი ნაშრომი როგორც იყო გადაარჩინეს. გადაარჩინეს კალიას თავიანთი ჭირნახული, მაგრამ ამისთანა გადარჩენა ისევ არ გადარჩენასთან იხსენება. „თუნდ მკვდარი და თუნდ შინ მიუსვლელიო“, ამბობს ქართული ანდაზა და ეს ანდაზა ამ ჭირნახულის კალიისაგან გადარჩენაზედ აღსრულდა: იმ დროს, როდესაც ქიზიყელები კალიას ედგნენ კრიჭაში და არ აძლევდნენ საშუალებას ნათესობაში შემოსულიყო, აქ სხვა მტერი გაუჩნდა ყანებს. ეს მტერი იყო ხვლიკი და თაგვი, რომელთაც ისე წაახდინეს მოსავალი, რომ იქ, სადაც დღიურზედ აქამდის, კაი მოსავალში, ოცი ათეული ძნა გამოდიოდა, ეხლა ხუთი და ექვსი ათეული ძლივს გამოვიდა და ზოგი სულაც ველარას გამორჩა. ამასაც აღარ დააჯერა და ყველა ეს უბედურება ბოლოს ცეცხლით დააგვირგვინა: 19 წარსულს ამ თთვისას გავარდა ხმა, რომ „შირაქს ცეცხლი ეკიდება და იწვისო“, დაწიოკდა ქიზიყის ხალხი, დიდი და პატარა შირაქისკენ გაეშურა და აი რა სურათი წარმოუდგათ თვალ-წინ: მთელი შირაქის მინდვრები ცეცხლს მოეცვა. ცეცხლი მოჰკიდებოდა ათის ვერსის სიშორით იმ ადგილისა, სადაც ძმებს ოთარაშვილებს ნავთის ქარხნები აქვთ, აღმოსავლეთის მხრიდგან, გამოჰყოლოდა დასავლეთისკენ დიდის სისწრაფით, რადგანაც ქარი უქროდა. ამ გვარად წამოსულმა ცეცხლმა მოაღწია ზემო-მაჩხაანელების კალოებამდის, სადაც გადასწვა 44 ამ სოფლელთა კალო, საბძლები, გასალეწი ძნა და გალეწილი ხვავები; ამას გარდა, დაიწვა მრავალი ქვეშსაგები და ტანისამოსი და აგრეთვე ორმოებში ნაყარი პურიც, რადგანაც გაძლიერებულ ცეცხლის დანახვაზედ ზოგს კალოს პატრონს ორმოებში ჩაეყარა ტანისამოსი და ქვეშსაგები და მრავალი სხვა ავეჯეულობაც იმ აზრით, ვითომც იქმნება ცეცხლს გადავარჩინოთო, მაგრამ, საუბედუროდ, გადარჩენის მაგივრად ამ ავეჯეულობას პურისთვისაც გაეჩინა ცეცხლი და ორივე დამწვარიყო. ხალხი კალოებიდგან დამფრთხალი იქვე ახლო ფეტვებს შეეფარა, რომელიც გადარჩა ცეცხლს სინედლისი გამო, თუმცა ორი-სამი დესიატინა ამ ნახნავისაც ინაცვალა. საქონელა, რომელმაც მოასწრო გამოსვლა კალოებიდგან, ფეტვის ნახნავებში გადარჩა, ხოლო რომელიც შიგ დარჩა და გამოსვლა ვერ მოასწრო, ის-კი ცეცხლმა შთანთქა. მაჩხაანელების კალოებიდგან ცეცხლი ორად გამოჰყოლია ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, გადაუწვავს მინდორზედ მდგომი თივები და ზოგისაგან ჯერ აუღებელი ძნა და მოსულა ერთის მხრით „ენა მთამდის“ და მეორეს მხრით „კასრის წყარომდის“ (საძოვრებია). გარდა კალოებისა, ძნისა და თივისა, მინდვრებზედ დამწვარა ცხვრის ბინებიც 15 თუშისა და 7 ზემო-მაჩხაანელებისა. ცეცხლმა იმუშავა 22 ივლისამდე, გადასწვა მინდვრები, გარდა ზემო-მაჩხაანისა, სხვა ქიზიყის სოფლებისაც სივრცით 80 ვერსამდე და მხოლოდ 22 ივლისს გააქრეს მუშებმა, რომელნიც გაყვანილ იქმნენ ქიზიყიდგან რიცხვით ორი ათასამდე.

ამ გვარად, ქიზიყის სოფლებს ამ ცეცხლმა ბევრ რიგად მისცა ზარალი. საძოვრები იმ ადგილებში საქონელს მოესპო, ზამთრისთვის თივა აღარ დარჩა და საცოდავი საქონელი ბევრს სიმშილით უნდა ამოუწყდეს. გარდა ამისა 44 კომლი ზემო-მაჩხაანელებისა და დანარჩენი ის გლეხნი, რომელთაც ხელ-მოკლეობისა გამო ჯერ ისევ მინდვრებზედ ედგათ აუღებელი ძნა, პირში ჩალა-გამოვლებულნი დარჩნენ და ზოგს მათგანს ლუკმა პურიც გაუწყდათ. ახლა ამ რიცხვს დაზარალებულთა დაუმატეთ ისინიც, ვისაც საკუთარი კალო-საბძელი არ მოეპოვებოდა და იმ 44 კალოს პატრონებთან იყვნენ შეკედლებულნი და თავიანთ სარჩოს იქ უპირებდნენ სხვის კალოზედ გალეწვას, და ადვილად წარმოიდგენთ, რა აუარებელი ზარალი მისცა ქიზიყელებს ამ ცეცხლმა. გულ-ხელ დაკრეფილნი დაზარალებულნი დასტირიან თავიანთ დამწვარ-დანაკლებულს ჭირნახულს, რომლისაგანაც გამოელოდნენ სახელმწიფო და საზოგადო ხარჯის გადახდას, კერძო მოვალეების მოშორებას და ცოლ-შვილის გამოკვებას. ზარალი აუარებელია: ზოგნი 40,000 მანეთამდე ასახელებენ, ზოგნი-კი მეტსაც.

კარგს იზამდა ჩვენი გულკეთილი ქართველობა, რომ ამ დაზარალებულთაც მცირე დახმარებას აღმოუჩენდეს და შეუმსუბუქებდეს როგორმე ზარალის აღდგენას. ურიგო არ იქნებოდა, რომ ამათთვისაც დაეხმარებინათ ჩვენ თანამოძმეთ ყოველთვის მოძმის საშველად გამზადებული ხელი და მცირედი შეწირულებანი ამათთვისაც მოეგროვებინათ. უკეთუ ეს ვერ მოხერხდა, უფასოდ მაინც დაეთმოთ საწყალ ხალხს ვისგანაც ჯერ არს სახელმწიფო ტყიდგან ხე-ტყე და მით ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეთ დამწვარ-დაბუგული კალო-საბძლების და ცხვრის ბინების ხელ-ახლად აშენება, თორემ სხვის ხელ-დაუხმარებლად დაზარალებულნი ათის წლის განმავლობაშიაც ველარ გაიმაგრებენ წელს და ძველს დონეზედ ველარ დადგებიან.

ქიზიყელი

---

**სოფ. აწყური** (თელავის მაზრა), 20 აგვისტო. ღმერთო, შენ გვიხსენ ხოლერისაგან! ყველა მხრიდგან გვესმის ხოლერის ამბავი, მისი ყველგან დაუპატიჟებლად სიარული. ჩვენ-კი ვსხედვართ სულ-განაბულნი და ვერიდებით მის ნახვას, რადგანაც ძალიან პირშავადა ვართ იმასთან, ე. ი. მისი დახვედრა არც არავის მოგვიფიქრია და არცა-რა სამასპინძლოდ მოგვიმზადებია. მართალია, ეზოები და გომურები დავასუფთავეთ (ბოქაულის განკარგულებით), მაგრამ მგონი მარტო ეს საკმარისი არ იყოს. სხვა ღონისძიება ჩვენ აღარა მოგვეპოვება-რა, დამრიგებელი და ჩამგონებელი არა გვყავს და მხოლოდ გვიცქვეტია ყურები, აცა, ხომ არ მოახლოვდა ხოლერა, რომ მალე დავიმალნეთ სადმეო. მართალია, ერთხელ გვქონდა (ისიც შემთხვევით) ერთს კვირა დღეს ჩვენს სოფელში ბაასი ხოლერის შესახებ, მაგრამ ბევრმა ასე წარმოსთქვა: „ჩვენ მაგ გვარი სენი ვერაფერს დაგვაკლებს, რადგანაც მფარველად ახლოს გვეგულება ჩვენი წმიდა, ანუ თეთრი გიორგიო. ბევრჯელ შევსწრებივართ ამ ხოლერიანობას, მაგრამ ჩვენის ძლიერის ხატის შიშით მას აქ ვერ გაუწაწანიაო“. რაღა თქმა უნდა, იმ საზოგადოებას, რომელიც ამ გვარის აზრისაა, კარგი პატრონი და შთამგონებელი მაინც უნდა ჰყავდეს.

მართლა, ერთის მხრით ამ ხოლერის ხმამ კარგი გავლენა იქონია ჩვენში. ჩვენს ახლო სოფელ ზემო-ხოდაშენს თავის გაჩენაში არავითარი ავადმყოფობა არ ასცდენია და ციებ-ცხელებისა ხომ ბუდე-ბუნაგია. ყოველ ზაფხულს ოცი, ოც-და-ათი კაცი იხოცებოდა ხოლმე და ამ ზაფხულს-კი საშინელი სიმშვიდეა, სულ არ გარდაცვლილა სამი კაცი. ამის მიზეზად ჩვენში აი რას ასახელებენ: „რადგანაც ხოლერა სულ თავი, ძლიერი ავადმყოფობაა, ამიტომ სხვებმა პატივი სცეს, ადგილი დაუთმეს და როგორც სურვილი აქვს, ისე უნდა ინავარდოსო“. ჩვენ-კი ამითი ვხსნით, რასაკვირველია, რომ იმ ავადმყოფობის დაკარგვის მიზეზი კიტრებისა და სხვა-და-სხვა ხაპა-ხუპა ხილეულის მოსპობაა.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ აგვისტოს 15-ში ყოველ წლივ მთელი კახეთი დღესასწაულობს წმიდა გიორგის ეკკლესიის დღეობას. ამ ეკკლესიას ლოცულობს თელავის მაზრას გარდა სიღნაღი, თიანეთი, ტფილისი, ზაქათალა და სხვ. სწორედ აგვისტოს თხუთმეტში შეიყრიდა ხალხი ერთად თავს: თავადი, აზნაური, გლეხი, სომეხი, თათარი, თუში თუ ქისტი, წირვის დროს და ლოცვის შემდეგ ლხინობდნენ. აქ ყოველ გვარს დროს გატარებასა ჰნახავდით. თავად-აზნაური ცალკე ლხინობდა, თუში ცალკე, ქისტი ცალკე, ყველა თავის ჩვეულებას უკუ არ აგდებდა. ყველაზედ უკეთესს სანახავს შეხვდებოდა კაცი ჭიდაობის დროს. ჭიდაობა კარგი და ხანგრძლივი იყო ხოლმე, რადგანაც ყოველ მხრიდგან საუკეთესო მოჭიდავე იყო მოსული და, რასაკვირველია, ყველა თავის გამარჯვებას სცდილობდა. წრეულს ამ სიამოვნებას მოაკლდა ხალხი, როგორც ამბობენ, ხოლერის მიზეზით და ესეც უნდა ყოფილიყო. იმედია, საგაისოდ ხოლერა თავს დაგვანებებს და მაშინ იმდენი ილხინოს ხალხმა, რამდენიცა სურს, ხატობებში და დღესასწაულებში.

დ. აწ.

# რუსეთი

პეტერბურგში 20—21 აგვისტოს ავად გახდა 133, გარდ. 43, მორჩა 62; ქ. კრონშტადში 19 აგვისტოს ავად გახდა 5; მთელს გუბერნიაში 20 აგვისტოს ავად გახდა 30, გარდ. 13, მორჩა 14.

მოსკოვში 19 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ. 8, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 5, მორჩა 3.

ასტრახანში 19 აგვისტოს ავად გახდა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 16, გარდ. 10, მორჩა 17.

ვლადიმერის გუბერნიაში 19 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 1 მორჩა 5.

ვორონეჟში 19 აგვისტოს ავიდ გახდა 10, გარდ. 2.

ეკატერინოსლავის გუბერნიაში 20 აგვისტოს ავად გახდა 96. გარდ. 62, მორჩა 55.

ყაზანში 19 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდ 6, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 186, გარდ. 66.

კოსტრომში 18 აგვისტოს მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 3, გარდ. 4, მორჩა 2.

ლიუბლინში 19 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდ. 5, მორჩა 16;

---

და სძლევს. ჩვენც ევროპის მაგალითს უნდა მივბაძოთ და საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ხოლერა გავაქციოთ და არა ჩვენ გვარბენინოს მან დავთარ-დაკარგულები...

ამ წადილის მისაღწევად უპირველესად ყოვლისა უნდა თავიდგან მოვაშოროთ ხალხსა საშინელი მოკავშირე ხოლერისა და ყოველის ჭირისა, ესე იგი უმეცრება, გონებითი სიბნელე. თვითონ ხალხმა კარგა ხანია მიმართა უებარს წამალსა—მრავალი სკოლა დააარსა სოფლად და იმედი ჰქონდა, რომ სინათლე ეღირსებოდა, მაგრამ იმედი გაუცუდდა. აგერ ოცი წელიწადი მეტია, რაც ეს სკოლები არსებობენ და ყოველ წლივ ხალხის ღატაკს ჯიბეს კარგ ხარჯსა სთხოვენ, მაგრამ გონებრივი სიბნელე ხალხისა, მისი უმეცრება თითქმის ისეთივეა, როგორიც იყო ამ სკოლების დაარსებამდე. რად მოხდა ესა ჩვენში, როდესაც სხვაგან ყველგან სკოლა გამოდგა წყაროდ ცოდნისა, განვითარებისა, განათლებისა? მოხდა იმიტომ, რომ სახალხო სკოლა გადასცდა თავის პირდაპირ დანიშნულებას—გონების გახსნას, ცოდნის მოფენასა—და მთელი დრო და ძალა მოახმარა და ახმარებს ფორმალურს მიზანს, «გავანიუხებას», როგორც სხარტულად გამოსთქვა „ივერიაში“ ერთმა მისმა მეფელეტონემ. დროა ყველამ ჩვენგანმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს სახალხო სკოლას, ამ ერთს უმთავრესს ბურჯს ხალხის არსებობისას და წარმატებისას, და ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ მან გადუქციოს უკუღმართს მიმართულებასა, დაადგეს სწორე გზასა და ემსახუროს თავის წმინდა დანიშნულებას—ხალხის განვითარებას, ცოდნის მოფენას, განათლებასა.

მეორე ღონისძიება არის—ხალხში მოფენა მის ენაზედ დაწერილი წიგნაკებისა შესახებ სახალხო ჰიგიენისა, სისუფთავისა, შესახებ ხოლერისა და სხვა სენებისა, რომელიცკი მას აწუხებენ და უმოკლებენ უიმისოდაც მოკლე სიცოცხლესა. ეს ვალი უნდა იკისროს „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ და მოკლე ხნის განმავლობაში შეჰქმნას პატარა ლიტერატურა მაინც სახალხო ჰიგიენისა და მკურნალობისა.

მესამე ღონისძიება გახლავთ ისა, რომ ხალხს გავუჩინოთ ცოცხალი სიტყვით მქადაგებელი ჰიგიენისა, მისი დამრიგებელი ჯანმრთელობის გზაზედ და შესაბამი წამლების მიმცემი ავადმყოფობის დროს, ერთი სიტყვით, მკურნალი, ექიმი, იმისთანა ექიმი, რომელიც მუდამ ხალხში უნდა ტრიალებდეს. ეხლა ესრედ წოდებული მეცნიერული მედიცინა ანუ მკურნალობა ხალხისათვის არ არსებობს. მაზრის ექიმს, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს ხალხის შველისა, ვერას გააწყობს, რადგანაც ერთად-ერთია და ათასად ხომ ვერ გაიჭრება. ერთად-ერთი ექიმი-კი არ უნდა ინიშნებოდეს მთელს მაზრაზედ, ყველა საბოქაულოს თავისი საკუთარი ექიმი უნდა ჰყავდეს. ეს დიდს ხარჯს არ მოითხოვს ხალხისაგან, ბევრი-ბევრი კომლზედ მანეთი მოვიდეს. ხოლო ეს მანეთი სიკეთეს თუმნობით შესძლევნის ხალხსა და იხსნის იმ დაწიოკებისა და უპატრონობისაგან, რომლის საშინელს მაგალითს ეხლა ყველანი ჩვენი საკუთარი თვალითა ვხედავთ.

იაკობ სვიმონიძე

მანგლისი
8 აგვისტოს.

P. S. ამ წერილის დაწერის შემდეგ გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ მანგლისში ხოლერით გახდა ავად იქაური მცხოვრებიო და მოკვდაო. ეს ნამდვილი ფაქტია, მაგრამ არამც თუ არ ეწინააღმდეგება ჩვენს აზრსა მანგლისის შესახებ, არამედ ემოწმება კიდეცა. მოკვდა ფალარათობის და პირ-საქმობის დართვით სამოც-და-ხუთის წლის დედაკაცი ესრედ წოდებულს სლობოდკაში, რომელიც ორის ვერსის მანძილზეა მანგლისიდგან. ეს დედაკაცი მთელის ათის წლის განმავლობაში თურმე ავადმყოფობდა გულის ფრიალითა, გულის ხინჯითა (порокъ сердца( და იმდენად იყო მიხრწნეული, რომ უგონოდ ეგდო მთელი დღეობითა. და აი მხოლოდ ამ მიმკვდარებულს ადამიანს მოერია აქაური ჭია ხოლერისა, მხოლოდ მომაკვდავის დაძლევა შეიძლო, სხვისათვის-კი არაფერი დაუკლია. ხოლერა არ შეჰყრია არც იმ დედაკაცის მრავალს სახლობასა და არც სხვას ვისმე სოფელში, თუმცა, ადგილობრივის მღვდლის გარდა, მას არავინ მორიდებია არც ავადმყოფობის დროსა და არც დამარხვის ჟამსა. ცხადია, რომ ხოლერის ჭია მანგლისშიაც მოაქვთ, მხოლოდ აქ იგი იმდენად ჰკარგავს ძალას და ღონეს, რომ ძლივ-ძლიობისად ერევა მხოლოდ სხვა სენისაგან მიხრწნილს და მიმკვდარებულს ადამიანსა, რომელიც უიმისოდაც დღეს-ხვალ გამოესალმებოდა ტანჯულს სიცოცხლესა.

მთელს გუბერნიაში ავად გახდა 10, გარდ. 5; მორჩა 8.

ნიჟნი-ნოვგოროდში 20 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდ. 11, მორჩა 9; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 38, გარდ. 15, მორჩა 21.

ორენბურგში 19 აგვისტოს ავად გახდა 13, გარდ. 6, მორჩა 9; მთელს გუბერნიაში 16—19 აგვისტოს ავად გახდა 165, გარდ. 60, მორჩა 56.

პენზაში 19 აგვისტოს ავად გახდა 25, გარდ. 23, მორჩა 48; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 25, გარდ. 8, მორჩა 17.

პერმში 19 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 30, გარდ. 9.

პოლტავის გუბერნიაში 19 აგვისტოს ავად გახდა 20, გარდ. 12.

რიაზანში 19 აგვისტოს ავად გახდა 1. მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 6, გარდ. 2, მორჩა 4.

სამარაში 19 აგვისტოს ავად გახდა 15, მორჩა 10; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 239 გარდ. 88, მორჩა 131.

სარატოვში 19 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ. 2, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 344, გარდ. 149.

სიმბირსკში 19 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 262, გარდ. 110.

კერჩში 19 აგვისტოს ავად გახდა 17, გარდ. 3.

ტამბოვის გუბერნიაში 19 აგვისტოს ავად გახდა 149, გარდ. 65, მორჩა 22.

ტვერში 19 აგვისტოს ავად გახდა 4, მორჩა 1.

უფაში 19 აგვისტოს ავად გახდა 17, გარდ. 9; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 271, გარდ. 92.

ხარკოვში 19 აგვისტოს ავად გახდა 1, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 95, გარდ. 25.

ხერსონის გუბერნიაში 20 აგვისტოს ავად გახდა 18, მორჩა 7.

ჩერნიგოვის გუბერნიაში 18—20 აგვისტოს ავად გახდა 29, გარდ. 7, მორჩა 19.

იაროსლავში 19 აგვისტოს ავად გახდა 14, გარდ. 16, მორჩა 5; ქ. რიბინში ავად გახდა 9, გარდ. 4, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 16, გარდ. 6.

ეკატერინოდარში 19 აგვისტოს ავად გახდა 9, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 179, გარდ. 92.

ტვერსკის ოლქში 19 აგვისტოს ავად გახდა 90, გარდ. 49

ომსკში 19 აგვისტოს ავად გახდა 36, გარდ. 19; აკმოლინის ოლქში ავად გახდა 30, გარდ. 19; სემიპალატინის ოლქში ავად გახდა 5, გარდ. 10.

ტობოლსკში 19 აგვისტოს გარდ. 1, მორჩა 2.

ტომსკში 19 აგვისტოს ავად გახდა 14, გარდ. 23; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 197, გარდ. 96.

ურალსკში 19 აგვისტოს ავად გახდა 22, გარდ. 5; მთელს ოლქში ავად გახდა 27, გარდ. 20.

## დეპეშა

27 აგვისტო

**პეტერბურგი.** მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული გუშინ, საღამოს $10^1/_2$ საათზედ, პეტერგოფიდგან წაბრძანდნენ ივანგოროდს და თან ახლდათ უმაღლესის კარის მინისტრი, სამხედრო მინისტრი, გენერალ-ადიუტანტები: რიხტერი, ჩერეინი, სტიულერი, გენერალ-ლეიტენანტნი: ბობრიკოვი, ბარონი, ფრედერიკსი, მისის უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორი გრაფი გოლენიშჩევ-კუტუზოვი და ფლიგელ-ადიუტანტი თავადი ბელოსელსკი-ბელოზერსკი.

გამოვიდა წიგნაკი „აწინდელი წამლობა ხოლერისა“ («Современное леченіе холеры»), ექიმ კობილინის მიერ შედგენილი. ბ-ნს კობილინს იტალიის პროფესორებ კონტანისა და პერლის ნაშრომით უხელმძღვანელნია.

**ბერლინი.** ბერლინის სამაგისტრომ შინაგან საქმეთა მინისტრს მიჰმართა და დაბეჯითებით სთხოვა, რომ, რა-კი ხოლერაა, ნება მოგვეცით მიცვალებულთა სხეულები დავწვათო.

პეტერბურგის ბირჟა, 21 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — ,, | — ,, | 7,88 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 157,62 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $236^1/_4$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $221^1/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $193^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

15 სექტემბრიდამ ამა წლისა იქმნებიან წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯან-მრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელი მოსამართლეა ქალაქ თბილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამონაწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო-მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თთვეში შვიდი მანათი, ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: ნახევარის წლის შესანახი ფული 42 მანათი პირველ სექტემბერს და მეორე ნაწილი, 42 მანათი, პირველ იანვრამდე. ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, მაშინ შეგირდი დათხოვნილ იქმნება სადგურიდგან და გაიგზავნება თავის მშობლებთან. ამისთვის მშობლებმა, მანამ შვილს მიაბარებენ სასწავლებელში, წინადვე სკოლაში უნდა შემოიტანონ ყმაწვილის გასაგზავნად ერთი თუმანი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი. ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდგან მეორედ ფულის შემოტანის ვადამდე გავა, იმას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურს სასარგებლოდ.

შეგირდები, ხოლერის გამო დათხოვნილნი, უნდა გამოცხადნენ სკოლაში არა ადრე 14 სექტემბრისა, კარგად ჩაცმულ-დახურულნი, თან წამოიღონ საკმარისი ტანთსაცმელი და ზეწრები.

## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათვთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ჰ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—7)

Malson HERMANN-LACHAPELLE, J. BOULET & C-ie, SUCC-rs

31 et 33, Rue Boinod, პარიჟი.

4 ოქროს მედალი აქვს მიღებული, 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა, ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წელს.

**ხელოვნად აქვს ორთქლის მაშინების კეთება.**

განიერი ნახვრად მოძრავი — ორთქლის ქვაბები, რომელსაც ბოლისათვის მიხვეულ-მოხვეული ასავალი აქვს, ორის ცილინდრით, 4-დგან 100 ცხენის ძალით.

მაღალი ნახვრად მოძრავი — 1-დგან 100 ცხენის ძალით

მოგრძო უძრავი — 1 ანუ 2 ცილინდრით, 3-დგან 0 ცხენის ძალით



ორთქლის მაშინები ელექტრონის სინათლის დასადგენად.

პრეის-კურანტები უსასყიდლოდ იგზავნება. (3—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველდღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.